ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 7 აგვისტოს მორიგი სხდომის

დღის წესრიგი

1. .ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ ხელმღვანელის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: ალექსანდრე ტაბატაძე

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: შმაგი ხიჯაკაძე

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,ხარაგაული- 2011- ის“ დაშლის მიზანშეწონილობის თაობაზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხს: მარინე კვინიკაძე
ინგა თურქაძე

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ თეთრაწყაროში მდებარე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 7362 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდით N36.10.39.315) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ეროვნული სატყეო სააგენტოსთვის 20 წლის ვადით,უსასყიდლოდ, სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს: ინგა ლურსმანაშვილი

5. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის დაბა ხარაგაულში სოლომონ მეფის ქუჩაზე (რიყე) მდებარე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1636 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეოდანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდით N36.01.31.1987) 50 წლის ვადით სსიპ ხარაგაულის N2 საჯარო სკოლისთვის უსასყიდლოდ, სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხს: ინგა ლურსმანაშვილი

6. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) საგრანტო კონკურსში წარსადგენად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი იდეის

მოწონების შესახებ

მომხს: პეტრე შარიქაძე

7. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 მარტის N69. 69230812 განკარგულებაში „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 2023 წელს დასაფინანსებელი საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: პეტრე შარიქაძე

8. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2023 – 2024 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

მომხს: დავით კიკნაძე

9. დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ განცხადების განხილვის შესახებ

მომხს: დავით კიკნაძე

10. ინფორმაცია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებ--გვერდის მიერ დებულებით განსაზღვრული დანიშნულების შესასრულებლად გაწეული საქმიანობის შესახებ

მომხს: ინგა ბერაძე

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 7 აგვისტოს მორიგი სხდომის
ოქმი N12
2023 წლის 7 აგვისტო

დაბა ხარაგაული

9 აპრილის ქუჩა #15

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე
სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: დავით კიკნაძე, პაატა გოგოლაძე, ამირან ოქრომჭედლიძე, ოთარი ლურსმანაშვილი, მარინე ხვედელიძე, ბესიკ კვირიკაშვილი, პავლე კიკალიშვილი, შმაგი ხიჯაკაძე, შალვა ლურსმანაშვილი, თორნიკე ავალიშვილი, ნონა ზურაბიანი, უშანგი ბერაძე, ქეთევან ზუმბაძე, კიაზო გამრეკელაშვილი, ვერა ოდიკაძე, მერაბ ტალახაძე, დოდო ხაჩიძე, ლენა აბაშიძე, გოჩა გიორგიძე, ვახტანგ ტალახაძე, ავთანდილ ვეფხვაძე, ავთანდილ კვინიკაძე, ეკატერინე შველიძე, ნანა გორგაძე, კობა გოგსაძე, ირმა ვეფხვაძე, კონსტანტინე ბერაძე სულ საკრებულოს 28 წევრი.
სხდომას ესწრებოდნენ:
მერიის წარმომადგენლები:
ვარლამ ჭიპაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე,
მარინე კვინიკაძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი,
ინგა თურქაძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის განყოფილების უფროსი,
პეტრე შარიქაძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი,
ინგა ლურსმანაშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი.
ალექსანდრე ტაბატაძე ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ ხელმღვანელი
ინგა ბერაძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი,

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:
ლენა კალანდაძე საკრებულოს აპარატის უფროსი,
ზაალ ორბელაძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში.
ნინო თხელიძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში,
ივანე ჭიპაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე,
საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

ეკა შავიძე ა (ა) ი, პ. მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის ხელმძღვანელი,

ლაურა გოგოლაძე გაზეთ „ჩემი იმერეთის“ რედაქტორი,

თამთა გოგოლაძე გაზეთ „ჩემი იმერეთის“ ჟურნალისტი,

სულიკო გლუნჩაძე ოპერატორი.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, მან საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის შემდეგი დღის წესრიგი

დღის წესრიგი

1. .ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ ხელმღვანელის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: ალექსანდრე ტაბატაძე

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: შმაგი ხიჯაკაძე

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,ხარაგაული- 2011- ის“ დაშლის მიზანშეწონილობის თაობაზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხს: მარინე კვინიკაძე

ინგა თურქაძე

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ თეთრაწყაროში მდებარე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 7362 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდით N36.10.39.315) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ეროვნული სატყეო სააგენტოსთვის 20 წლის ვადით,უსასყიდლოდ, სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს: ინგა ლურსმანაშვილი

5. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის დაბა ხარაგაულში სოლომონ მეფის ქუჩაზე (რიყე) მდებარე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1636 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეოდანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდით N36.01.31.1987) 50 წლის ვადით სსიპ ხარაგაულის N2 საჯარო სკოლისთვის უსასყიდლოდ, სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხს: ინგა ლურსმანაშვილი

6. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) საგრანტო კონკურსში წარსადგენად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი იდეის მოწონების შესახებ

მომხს: პეტრე შარიქაძე

7. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 მარტის N69. 69230812 განკარგულებაში „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 2023 წელს დასაფინანსებელი საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: პეტრე შარიქაძე

8. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2023 – 2024 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ მომხს: დავით კიკნაძე

9. დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ განცხადების განხილვის შესახებ მომხს: დავით კიკნაძე

10. ინფორმაცია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებ--გვერდის მიერ დებულებით განსაზღვრული დანიშნულების შესასრულებლად გაწეული საქმიანობის შესახებ

მომხს: ინგა ბერაძე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 28 წევრი.

მომხრე 24

წინააღმდეგი 0.

თავი შეიკავა 4

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი- ს „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ ხელმძღვანელის ანგარიში ცენტრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

შმაგი ხიჯაკაძემ საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ანგარიში განიხილა კომისიამ სხდომაზე და შემოდის წინადადებით ჯანდაცვის ცენტრის საქმიანობა შეფასდეს დადებითად.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა კომისიის თავმჯდომარის წინადადება ა(ა) ი.პ „ჯანდაცვის ცენტრის დადებითად შეფასების თაობაზე.

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 28 წევრი

მომხრე 28

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის შმაგი ხიჯაკაძის ანგარიში კომისიის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ (თან ერთვის).

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა

ამირან ოქრომჭედლიძემ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ დააყენა წინადადება კომისიის საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის ა. ოქრომჭედლიძის წინადადება კომისიის საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე.

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 28 წევრი

მომხრე 28

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსის მარინე კვინიკაძის ინფორმაცია საკითხზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,ხარაგაული- 2011- ის“ დაშლის მიზანშეწონილობის თაობაზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ (თან ერთვის).

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა განკარგულების პროექტი

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 28 წევრი

მომხრე 23

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა 5

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის ინგა ლურსმანაშვილის ინფორმაცია საკითხზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ თეთრაწყაროში მდებარე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 7362 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდით N36.10.39.315) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ეროვნული სატყეო სააგენტოსთვის 20 წლის ვადით,უსასყიდლოდ, სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

კობა გოგსაძემ, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა, რომელმაც აღნიშნა, რომ საქმიანის ეზოს მოწყობა უფრო გონივრული იქნებოდა ან ხიდარში, ან ვარძიაში, სადაც არის ტყე რატომ კიცხი, რომელსაც ტყე არ გააჩნია. ხიდრიდან უნდა ჩამოვიდეს კაცი და უნდა დაბრუნდეს უკან ხიდარში ფაქტიურად ეზრდება ხარჯი. ასევე მაინტერესებს გაცემის წესი როგორ მოხდება.

მანანა ბარბაქაძემ სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ მაქვს ინფორმაცია, მაგალითად ტრასის ზონაზე ვერ შეირჩა ტერიტორია შესაბამისი ფართით, სადაც საქმიანი ეზო მოეწყობოდა, ამ მხრივ კიცხის ზონაზე მისაღები გახდა სოფელი თეთრაწყარო. 4 სექტემბერს საკრებულოს სხდომაზე ვთხოვ ხარაგაულის სატყეო უბნის წარმომადგენელს გაგვიკეთოს ინფორმაცია ამ საკითხთან დაკავშირებით

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა განკარგულების პროექტი

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 28 წევრი

მომხრე 23

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა 5

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის ინგა ლურსმანაშვილის ინფორმაცია საკითხზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის დაბა ხარაგაულში სოლომონ მეფის ქუჩაზე (რიყე) მდებარე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1636 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდით N36.01.31.1987) 50 წლის ვადით სსიპ ხარაგაულის N2 საჯარო

სკოლისთვის უსასყიდლოდ, სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ (თან ერთვის).

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა განკარგულების პროექტი

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 28 წევრი

მომხრე 28

წინააღმდეგი 0

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის პეტრე შარიქაძის ინფორმაცია საკითხზე გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) საგრანტო კონკურსში წარსადგენად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი იდეის მოწონების შესახებ (თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა განკარგულების პროექტი

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 28 წევრი

მომხრე 28

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის პეტრე შარიქაძის ინფორმაცია საკითხზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 მარტის N69. 69230812 განკარგულებაში „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 2023 წელს დასაფინანსებელი საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის).

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა განკარგულების პროექტი

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 28 წევრი

მომხრე 28

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის (გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის) დავით კიკნაძის ინფორმაცია საკითხზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2023 – 2024 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ (თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა
სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა განკარგულების პროექტი

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 28 წევრი

მომხრე 28

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის დავით კიკნაძის ინფორმაცია საკითხზე დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ განცხადების განხილვის შესახებ (თან ერთვის) მან აღნიშნა, რომ ფრაქციის განცხადებით მოთხოვნილია დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნა, მუნიციპალიტეტში მიმდინარე და დასრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების შემოწმებისა და მუნიციპალიტეტის მერის კობა ლურსმანაშვილის სამივლინებო ხარჯის კანონიერების შესწავლის მიზნით

აზრი გამოთქვეს:

თორნიკე ავალიშვილმა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ შესასწავლია ჭაბურღილების საკითხი ვახანში, წყალაფორეთში, რატო გადაიყარა ამდენი ტანხა და წყალი არ მოდის, კარგია, რომ ფარცხნალში გამოსწორდა პრობლემა მივესალმები, მაგრამ სადაც არ გაკეთდა რატომ არ გაკეთდა, ერთად შესწავლა გამოიღებს შედეგს ასევე მერის სამივლინებო ხარჯები არასწორად არის გაცემული

ბესიკ კვირიკაშვილმა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასრტუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ მიმართა თ. ავალიშვილს, თქვენ ბრძანდებით ამ კომისიის თავმჯდომარე და კომისიის ფორმატში შევისწავლოთ ერთობლივად საკითხი, თუ ოპოზიცია იქნება ჩართული კომისიის საქმიანობაში უფრო მეტი შედეგი გვექნება, დროებითი ჯგუფის შექმნა არ მიმაჩნია აუცილებლობად

კობა გოგსაძემ ჩვენ არ გავურბივართ თქვენთან თანამშრომლობას, შეიქმნას ეს ჯგუფი და შევისწავლოთ საკითხი რა არის ამაში მიუღებელი

პაატა გოგოლაძემ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ აღნიშნა, რომ ნაკლოვანებებზე თვალის დახუჭვას ჩვენც არ ვაპირებთ, შევისწავლოთ არსებული კომისიის ფორმატში ამით ხომ კომისიის ავტორიტეტი ილახება

სხდომის თავმჯდომარე კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 28 წევრი

მომხრე 6

წინააღმდეგი 22

საკრებულოს მიერ დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე ვერ იქნა მიღებული .

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსის ინგა ბერაძის ინფორმაცია საკითხზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებ--გვერდის მიერ დებულებით განსაზღვრული დანიშნულების შესასრულებლად გაწეული საქმიანობის შესახებ (თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს ცნობად (თან ერთვის)

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**